მობილობის ანგარიშის ფორმა

თანამშრომლებისთვის

Staff Mobility Report Form

| | |
|---|---|
| მობილობის პროექტი<br><br>Exchange project | საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში მიმდინარე ერაზმუს+ საერთაშორისო მობილობის პროგრამებთან დაკავშირებით |
| პროექტის მონაწილის სახელი, გვარი<br><br>Name of the project participant | ეკატერინე აბზიანიძე<br><br>Catherine Abzianidze |
| განხორციელებული მობილობის ტიპი (ადმინისტრაციული / აკადემიური)<br><br>Mobility type (administrative/academic) | აკადემიური<br><br>Academic.<br>Erasmus+ Staff Teaching Mobility |
| განხორციელებული მობილობის პერიოდი<br><br>Mobility period | 19 – 23 მაისი 2025.<br><br>19-23 May 2025. |
| საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში დაკავებული პოზიცია (ადმინისტრაციული, აკადემიური: პროფესორი, ასოც. პროფესორი, ასისტ. პროფესორი, ასისტენტი, ლაბორანტი, მასწავლებელი...)<br><br>Position at GTU (administrative/academic: Professor, assoc. professor, assist. professor, assistant, lab assistant, teacher…) | ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტი.<br>ციფრული სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტი.<br>ასოც. პროფესორი<br><br>Faculty of Informatics and Control Systems,<br>Academic Department of Digital Telecommunication Technologies<br>assoc. professor |

| | |
|---|---|
| სტრუქტურული ერთეული/სასწავლო-სამეცნიერო მიმართულება<br><br>Structural unit/teaching-research field | **ტექნიკური მეცნიერებების ფაკულტეტი/ კომპიუტერული მეცნიერების დეპარტამენტი**<br><br>**Faculty of Technical Sciences/ Department of Computer Science** |
| მიმღები უნივერსიტეტი (ქალაქი, ქვეყანა)/სტრუქტურული ერთეული<br><br>Receiving university (city/country)/ Structural unit | იოანე პავლე მეორის სახელობის უნივერსიტეტი. პოლონეთი, ბიავა პოდლასკა.<br><br>**John Paul II University in Biała Podlaska, Poland/ PL** |
| განხორციელებული მობილობის შედეგი<br><br>Mobility outcomes | 8 საათიანი ლექციების კურსი ტელეკომუნიკაციაში:_ არხის კოდირება.<br>გამოიწვია ინტერესი და გამოთქვეს სურვილი მომდევნო წელსაც ჩავიდე ამ ლექციებისთვის.<br><br>8-hour lecture course in Digital Telecommunications:_ Channel coding.<br>The topics aroused interest. They expressed their desire for me to visit them for these lectures again next year. |
| მობილობის პერიოდში განხორციელებული საქმიანობა, მათ შორის, პროფესიული, სოციალურ-კულტურული აქტივობები და შესაბამისი ფოტომასალა<br><br>Activities carried out during the mobility, including occupational, social-cultural activities (if applicable) and appropriate photos. | ჩავედი შაბათ დღეს შუადღისას  და აღმოჩნდა რომ იმ დღეს_(17/05/2025) ვინც მე მმასპინძლობდა მონაწილეობას იღებდა IT კონფერენციაზე, მითხრა:_ თუ გსურს დაგვესწარიო. (ეს იყო კომპიუტერული მეცნიერების დეპარტამენტის მიერ ორგანიზებული ღონისძიება, უახლესი ტექნოლოგიური ტენდენციებით სავსე შეხვედრა). https://www.facebook.com/reel/1526286685012105). მიუხედავად იმისა, რომ კონფერენცია თავიანთ მშობლიურ ენაზე მიმდინარეობდა გასაგები იყო, რომ ამ ღონისძიების ბოლოს საუბრობდნენ იმ მთავარ პრობლემაზე რომ შობადობა საკმაოდ შემცირდა და ეს სამომავლოდ თავიანთ მხარეში  ბევრ პრობლემას გამოიწვევს თითქმის ყვლა სფეროში. თუნდაც ის, რომ სტუდენტების რაოდენობა საკმაოდ შემცირდება და ლექტორების ნახევარი უმუშევარი დარჩება.<br>კვირას ყველა ისვენებს და არც ბიბლიოთაკაა სტუდენტებისთვის ღია, ისედაც ყველას ინტერნეტით ურჩევნია სახლიდან მუშაობაო. |

| | |
|---|---|
| | ორშაბათს, 19 მაისს,დილიდან საიუბილეო კონცერი გაიმართა  და დამპატიჟეს, ეძღვნებოდა მასპინძელი უნივერსიტეტის 25 წლისთავს , ამ დღეს ბიალსკას აკადემიის საზოგადოებამ ასევე აღნიშნა უნივერსიტეტის მფარველის- იოანე პავლე II-ის დღე, სახელწოდებით _„ხელოვანი პაპი“. მონაწილეობას იღებდნენ სტუდენტები, რომლებიც  კლასიკური მუსიკის განათლებას(აც) იღებენ ქალაქის მუსიკაკლურ სასწავლებელში. ბოლოს წარმოდგენილმა უნივერსიტეტის გოგონათა და ბიჭუნათა გუნდმა შეასრულა იოანე პავლე მეორისადმი მიძღვნილი საუნივერსიტეტო ჰიმნი და შემდეგ საკმაოდ ამაღელვებელი ემოციებით გამოვიდა რექტორი სამადლობელი სიტყვით.<br>ამის შემდეგ ლექციების ორგანიზებაში და წარმართვაში (პარასკევის ჩათვლით) მეხმარებოდა პიტრ ლიხოგრაჟი (კომპიუტერული მეცნიერების დეპარტამენტის ხელმღვანელი). რომ მკითხა ლექციის დროს რა გჭირდებაო ვუთხარი რომ მხოლოდ დიდი შავი დაფა და ცარცი. აუდიტორიაში მართლაც დამხვდა დიდი დაფა, ოღონდ  ელექტრონული, მასზე სპეციალური კალმით, ძლიან კომფორტული, მრავალგვარი ფუნქციით. (მისი მოთხოვნით უნივერსიტეტმა 7-ის მაგივრად 14 ასეთი დაფა შეიძინა).<br>ოთხშაბათს, რადგან კარგი ამინდი იყო, უნივერსიტეტის მანქანით წამიყვანეს ქალაქის ღირშესანიშნაობების სანახავად აგნიეშკა კალიშჩუკმა და მაგდალენა მაციეჟუკმა. ვნახეთ საგვარეულო სამეფო სასახლის აღსადგენი და აღდგენილი ნაგებობები, ბიბლიოთეკა, ძველი ფოსთა, სამუსიკო სასწავლებელი, ცენტრი სადაც ქალაქის ყველა მნიშვნელოვან ღონისძიებას აწყობენ. პარკები რომელიც მრავლადაა ამ პატარა ქალაქში და კიდევ უფრო მეტი ეკლესია ვიდრე მაღაზია, მათ შირის 2 მართლმადიდებლურიც. მოვინახულეთ  ლეხ კაჩინსკის და მისი მეუღლის მემორიალური სკულპტურაც (რადგან ამ ტეროტორიასთან ახლოს მოხდა მათი თვითმფრინავის კატასტროფა).  ვნახეთ მთავარანგელოზი მიქაელის (რომელიც ურჩხულს განგმირავს) დიდი თეთრი ფერის მონუმენტი. თურმე, ამ ქალაქის მფარველი ყოფილა მთავარანგელოზი მიქაელი ისევე როგორც მასპინძელი უნივერსიტეტის, მანამ სანამ იოანე პავლე II გარდაიცვლებოდა.<br>ხუთშაბათს და პარასკევს საღამოს კი იყო სტუდენტური დღეები, რომელსაც პაპმა „ნოქტუალია“  უწოდა (შეარქვა) და რომელიც ყოველ წელს ამ დროს ეწყობა ხოლმე. მე დავესწარი ამ ღონისძიებას.  წვიმის გამო ჯერ უნივერსიტეტის კედლებში მოეწყო მუსიკალური ვიქტორინა.  შეჯიბრში ერთ მხარეს იყვნენ სტუდენტები, მეორე მხარ ეს კი უნივერსიტეტის რექტორი-პროფესორი, ჰაბილიტირებული  დოქტორი  იეჟი |

| | |
|---|---|
| | ნიტიხორუკი ( Prof. dr hab. Jerzy Nitychoruk), ლექტორები და ქალაქის პრეზიდენტიც კი (პრეზიდენტი_მიხაუ ლიტვინიუკი (Michał Litwiniuk) თურმე ამ უნივერსიტეტის ყოფილი თანამშრომელი ყოფილა, ის ყოველთვის დიდ ყურადღებას აქცევს და მონაწილეობას ღებულობს ყველა ღონისძიებაში). ამჯერად უფროსებმა აჯობეს და უნივერსიტეტის სიმბოლომ თეთრმა ბუმ გამარჯვების გასაღები გადასცა რექტორსა და პრეზიდენტს, მათ მეც მივულოცე და ორივემ ძალიან თბილი სიტყვებით და აღფრთოვანებით ჩამომართვეს ხელი. რექტორმა ჩემთან სამახსოვრო სურათი გადაიღო. შემდეგ ზეიმი გაგრძელდა ღია სივრცეში_ საუნუვერსიტეტო სპორტულ მოედანზე (სტადიონზე), სადაც, შესასვლელთან უსაფრთხოების მიზნით, ყველა სპეციალურ შემოწმებას გადიოდა. მე რომ დამინახეს (მე მათ პირველად ვხედავდი) მითხრეს:_ ჩვენ ვიცით, რომ თქვენ ჩვენი საპატიო სტუმარი ბრძანდებით საქართველოდან და მობრძნანდით გენაცვალეო ☺, მერე, ქალბატონმა ელიზბიეტამ (Elizbieta Szczygielska)_ სამოქალაქო ინჟინერიის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა საკუთარი ხელით მოამზადა ჩემთვის გემრიელი კოქტეილი, გაფორმებული ორქიდეის ყვავილით. (ასე თბლილად და მთელი ყურადღებით მიმიღო უნივერსიტეტმა). შემდეგ, მუსიკის ფონზე, ასისტენტ პროფესორი მაგდა კონიეჩნა (Magda Koniezna) და მე მის სადისერტაციო თემის ირგვლივ ვსაუბრობდით.<br>შაბათ დღეს (24/05/2025) პიოტრ ლიხოგრაჟმა და მისმა სამი წლის ქალიშვილმა ჰანნამ გადმომცეს საუნივერსიტეტო სამახსოვრო სუვენირები, გამომაცილეს, ჩამსვეს მატარებელში და მითხრეს ყველა რომ ჩავა შენც იქ უნდა ჩახვიდეო. და სახლში რომ ჩახვალ გაგვაგებინე რომ მშვიდობიანად მიხვედიო. ისე კი, მომავალ წელსაც გელოდებით, აუცილებლად ჩამოდი ამ ლექციების კურსითო. ასეთი ყურადღებიანი და თბილი ხალხია.<br>აღსაღნიშნავია, რომ როგორ სტუდენტისათვის ასევე თანამშრომლებისთვის, მთელ უნივერსიტეტში ყვალა კომფორტია შექმნილი: თბილი, ნათელი, აუდიტორიებით, თანამედროვე მოწყობილობებით, კომპიუტერებით, აპარატურით, დიდი ელექტრონული დაფებით, მოსასვენებელი, გასართობი, სამუშაო თუ წასახემსებელი ფართებით. ჩასული სტუდენტებისა და სტუმარი ლექტორებისათვის კი იქვე ეზოშივეა ძალიან კომფორტული „სტუდენტური სასტუმრო“, რაც ძალიან მოსახერხებელი და კომფორტულია ყველასთვის_განსაკუთრებით შორი გზიდან ჩასული ლექტორებისა თუ სტუდენტებისთვის . |

| | |
|---|---|
| | რელიგიური მხარე ამ უნივერსიტეტისთვის ერთერი მთავარია, პატივს სცემენ თავიანთ სარწმუნოებას. შესასვლელში პაპის_იოანე პავლე II-ის  დიდი სურათია, აუდიტორიების. კარებებზე (შიდა მხრიდან)  კი მიმაგრებულია ჯვარი ქრისტეს გამოსახულებით. მაგრამ ეს ხელს არ უშლის და არანაირად არ ზღუდავს  სწავლა-სწავლებისთვის ამ უნივერსიტეტში მისული ნებისმიერი აღმსარებლობის  სტუდენტებსა  თუ  ლექტორებს.<br><br>დიდი მადლობა! ეს იყო გამოცდილების გაზიარებისა და საერთაშორისო თანამშრომლობის ჩამოყალიბების შესანიშნავი შესაძლებლობა.<br><br>(ქვემოთ მოცემულ 1. სურათზე არის რექტორი_პროფესორი, ჰაბ. დოქტორი იეჟი ნიტიხორუკი.)<br>I had been selected to udertake Erasmus+ Staff Teaching Mobility at John Paul II University in Biała Podlaska (For period_ 19-23 May, 2025).<br>I arrived on Saturday 17/05/20025 at noon and found out that the one guiding me was attending a conference.  He (Mr. Piotr Lichograj –the Head of the Department of Computer Science ) offered me to attend. Despite the fact that the conference was being held in their native language, it was still fairly clear: The end of the meeting they were discussing the main problem, which was about the declining birth rate and how it would cause many problems in their land in the future. Including the possibility of decreased number of students and half of the lecturers ending up without a job.<br>On Sunday everyone is resting and the Library is not open for students too, but everyone prefers to work from home anyway.<br>On Monday, from early morning, an anniversary concert was held and I was invited. The event was dedicated to the hosting university's 25 year anniversary. The participants taking part were students, who were educated in classical music by city's musical academy as well. The last participants were the university's male and female choir members that performed the hymn dedicated to John Paul II the second. After that, the Rector came up on stage and with exited emotions and expressed his gratitude.<br>After that,  Mr. Piotr Lichograj –( the Head of the Department of Computer Science ) helped me to organize and lead the 8 hour lectures. When he asked about the necessary equipment for the lectures, I answered:  "just a big blackboard and a chalk". In the auditorium, I was met with an electronic blackboard. It came with a special pen and was comfortable to use. (with his request, the university purchased 14 same kind blackboards instead of 7).<br>On Wednesday, because of the good weather, Agnieszka Kaliszuk (Erasmus+ Coordinator) and Magdalena Maciejuk  took me for a tour to see the sights by the university's car. Among them we saw the ruins of the royal family palace, the library, the old post office, the music school, |

| | |
|---|---|
| | the center where all the important events of the city are held. There are many parks in this small city and even more churches than shops, including 2 Orthodox ones. We also visited the memorial sculpture of Lech Kaczyński and his wife (because their plane crash occurred near this territory). We saw a large white monument of the Archangel Michael (who kills the monster). It turns out that the patron saint of this city was the Archangel Michael, as well as the host university until the death of John Paul II.<br>On Thursday and Friday evenings, there were student days, which are held every year at this time (in the last days of May). I attended this event. Due to the rain, a musical quiz was first organized within the walls of the university. On one side of the competition were students, and on the other side were the university rector, lecturers and even the city president_ Michał Litwiniuk (it turns out that he was a former employee of this university and always pays a lot of attention). This time, the elders prevailed. The white owl_the university's symbol, handed over the keys to the rector and the president. I congratulated them as well, and they both shook hands with warm words and admiration. The Rector _ Prof. dr hab. Jerzy Nitychoruk took a commemorative photo with me (Fig. 1). Then the celebration continued in an open space - at the university sports field (stadium), where, for security reasons, everyone underwent special checks at the entrance. When they saw me (I saw them for the first time), they said to me: "We know that you are our honored guest from Georgia, and please, come directly". Then, The head of the civil engineering department_Elizbieta Szczygielska personally prepared a delicious cocktail for me, decorated with an orchid flower. So, The university welcomed me so warmly and with all its attention." Then, with music playing in the background, Assistant Professor Magda Konieczna and I were talking about her dissertation topic.<br>On Saturday, Piotr and his three-year-old daughter, Hanna, gave me university souvenirs, saw me off, put me on the train, and said: _When you get home, let us know that you arrived safely. And we look forward to seeing you next year here again for this lecture course.They are such attentive and warm people.<br>It is noteworthy that for both students and employees, the entire university is designed with great comfort: warm, bright auditoriums, modern equipment, computers, large electronic boards, places for relaxation, entertainment, work and food(snacking). For visiting students and invited lecturers, there is a very comfortable "student hotel" in the yard, which is very convenient and comfortable for everyone.<br>The religious aspect is one of the most important things for this university. They respect their faith. There is a large picture of the Pope _John Paul II at the entrance, and a cross with the image of |

| | |
|---|---|
| | Christ is attached to the doors inside the auditoriums. But this does not prevent or in any way restrict students or lecturers of any faith who come to study.<br>Thank you very much! It was a great opportunity to share experiences and build international cooperation.<br>(Pictures are given below: Fig_1; Fig._2.) |

Galaxy A32

| | |
|---|---|
| | |